8
1965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. ჯ. ლოლუასი

№ 14 (1216) თბილისი იმედი 1965

# ნიანგი

გამოცემის 43-ე წელი. ფასი 20 კაპ.

— ამ პატარა სასმისითა და დიდი გრძნობით
გაუმარჯოს ჩვენს კოპწია საქართველოს!
— არ დალიო, მოგკლავს, ბიჭო!
— სამშობლოსათვის სიკვდილი რა დასანანია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ლომიძისა

— დაჭრიჭინებდა, დახტოდა.

# ოჯახს მირევს ვილაცა

ოჯახობა მყავს ნამდვილად
ჩემი კეთილის მდომელი,
ენა აქვს გრძელი, ფეხი კი
ოცდათხუთმეტი ნომერი.

მე იმის სარგო ფეხსაცმელს
ვერსად ვერ შევხვდი ქალაქად,
ორმოცდაერთი ნომერი
ყველგან აწყვია მარაგად.
რა ქალსაც ის მოერგება,
მის ქმარს ხვავი და ბარაქა!

„თბილმრეწვვაჭრობას“
შევჩივლო,
თუ კვლავ
„ფეხსაცმელვაჭრობას?“
ვინც მე ამ დღეში ჩამაგდო,
ნურც დასწრებია მაჭრობას.

მითხარით!.. გამაგებინეთ!..
ვკითხულობ აქაც, იქაცა,
ამ ნომრებს აღარ კერავენ,
თუ... ოჯახს მირევს ვილაცა?

გრ. ჩიქვილაძე

# მხიარული ამოცანები

№ 1

ბიკენტის „ვოლგით“ დასვენება უნდოდა ზაფხულში. შვებულება არ მისცეს. ღამის სამ საათსა და 05 წ. გატეხეს მისი გარაჟი და „ვოლგა“ მოიპარეს. მილიციამ გარაჟი შეამოწმა. რატომ ვერ მიაგნეს კვალს?

პ ა ს უ ხ ი: ძაღლი შვებულებაში იყო.

№ 2

ოდესიდან თბილისისკენ გამოვიდა უფაქტურო საქონლით სავსე ავტომანქანა, საათში 80 კმ სისწრაფით. მის შესახვედრად თბილისიდან გავიდა ლურჯი, წითელზოლიანი მანქანა, საათში 45 კმ სისწრაფით. ამოცანა გვეკითხება, რამდენი წლის შემდეგ დაბრუნდება ოდესიდან გამოსული მძღოლი ოჯახში?

პ ა ს უ ხ ი: მოსამართლეს გააჩნია.

№ 3

ეთერის ქმარი ლექტორი იყო. მან ხორცის საკეპ მანქანაში გაატარა 1 კგ ხორცი, ცუცას ქმარმა კი 4 კგ და 550 გრ ხორცი, როგორ გაატარა მეორემ პირველზე 3 კგ და 550 გრ-ით მეტი?

პ ა ს უ ხ ი: ცუცას ქმარი მეარღნე იყო.

№ 4

ერთმა ახალგაზრდამ გატეხა 4 ვიტრინა, გადააბრუნა 17 ურნა, სცემა ორ ქალიშვილს და პანღური ამოჰკრა ერთ პენსიონერს. მას ჩაუარა 136 ქალმა, 249 მამაკაცმა, 2 ბავშვმა და 8 მილიციელმა. რატომ უყურებდა ყველა მოწიწებით?

პ ა ს უ ხ ი: დანა ედო ჯიბეში.

შეკრიბა კ. ქართველაძემ

ნახ. ნ. მალაზონიასი

— აღარ ასვენებენ, კაცო, ისიდორეს?
— მაგას ვინ გაასვენებს, დაუბარებია, კელეხი არ გადამიხადოთო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დაუთავრებელი მითხრობა

...ამით ვამთავრებთ გადაცემას სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის.

გადმოცემული იყო საბავშვო მინიატურა „თხა და გიგო“.

ინსცენირების ავტორები არიან ეორდანია და გოგიაშვილი; როლებს ასრულებდნენ:

**გიგო** — ილია ჩხიკვაძე.
**თხა** — თორნიკე ჩარექიშვილი.
**სოკო** — იამზე ფოთოლაშვილი.
**ქათამი** — მერი ნასყიდაშვილი.
**წიწილა** — ლოლიტა ბახმაროშვილი.
**ღორი** — უშანგი ცალქალამანიძე.
**ძაღლი** — ლუარსაბ გოზალოვი.
**კოლმეურნეობის თავმჯდომარე** — გერონტი ბუკია.

გადაცემის მთავარი რეჟისორია
გიორგი სალაძე.
**რეჟისორები:** გეგენავა და სუმბაძე.
**რეჟისორის ასისტენტები:**
ცერცვაძე, კაკულია და მანუკოვი.
**ოპერატორები:** მღებრიშვილი და
ხმალაძე.
ხმის მთავარი ოპერატორი:
პეტრე ლაბლაბოვი.
**მხატვარი:** ირინე კახნიაშვილი.
**გამნათებელი:** ვსევოლოდ ხაპროვი.
**გრიმები:** გივი ბოლქვაძის.
**კოსტუმები:** თენგიზ კინწურაშვილის.
**საბაგირო გზის მეშანიკოსი:** ვიტალი ანდრეევი.

გადაცემა მიჰყავდათ ლია თეთრაძესა და მაყვალა ტაბახმელაშვილს.

ღამე მშვიდობისა, ამხანაგებო!
დობროი ნოჩი, ტოვარიშჩი!

**ქართლოს კასრაძე.**

ნახ. გ. ფირცხალავასი

„კოკლა“ დაბალმერიან გინაში

# ილია ჭავჭავაძის „ივერიიდან“

1889 წელს ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში მიიღო ქართველი ჟურნალისტისა და მოღვაწის მიხეილ ნასიძის სატირული ლექსი—„ახალი იავ-ნანა“. ქართული საგალობლის ხმაზე დაწერილი ეს ლექსი მიმართული იყო ახალგაზრდობაში გავრცელებული ლოთობის წინააღმდეგ.

მართალია, იგი თითქმის საუკუნის წინათ გამოქვეყნდა (1889 წ.), მაგრამ დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

აი ისიც:

**ვ. სიდამონიძე**

„იავ-ნანა, ვარდო ნანა,
იავ-ნანინაო,
გაივსე და გაიზარდე,
პატარა მთვარეო,
მთლად შენი წუთი-სოფელი
სმაში ატარეო.

იმღერე და იქეიფე
შენ ერთთავადაო,
გაიზრდები, შეიქმნები
ქვეყნის თამადაო.
შეიგნე და შეისწავლე
სამშობლო მხარეო,
სადაც რომ დიდი სმა არის,
იქ გაჩნდი მალეო.
მთლად შენი მამულ-დედული
სმას შეალიეო,
შვილო, მამულის გულისთვის
ღვინო დალიეო.
პაწაწინა ლოთი-ფოთი
ყანწის ოდენაო,
იავ-ნანა, ვარდო ნანა,
იავ-ნანინაო.
ანუგეშე, სადაც ნახო
მოძმე მწუხარეო,
ალბათ მას ღვინო სწყურიან,
დაალევინეო.

გენაცვალოს მამაშენი,
რა კარგი მყავხარო,
ფუნჩულა და გაბერილი
ტიკჭორას გავხარო.
შეხეთ ალისფერ ლოყებსა —
ყურძნის წვენიაო.
იავ-ნანა, ვარდო ნანა,
იავ-ნანინაო.
შვილო, ღვინის მონა იყავ,
უარი არ სთქვაო,
ლუარსაბმაც სახელი
ასე გაითქვაო.
იავ-ნანა, ვარდო ნანა,
იავ-ნანინაო“.



## ბრძანებულება № 1740

**1709 წ. მკათა თვისა**

**ჩვენ** მიერ შემჩნეულია, რომ წარჩინებულთა მამათა უმწიფარი შვილნი ღიშპანურ ზიზილ-პიპილებიან კამზოლებსა და შარვლებში გამოწყობილნი ერთობ კოპწიაობენ.

ბატონ სანკტ-პეტერბურღის პოლიციმეისტერს ვუბრძანებ, ამიერიდან ხსენებული კოხტაპრუწები გულმოდგინებით დიდითა შეიპყრან, საიდუმლო ნაწილში მიიყვანონ და სცენ მათრახი უკანალზე, ვიდრემდის ღიშპანური შარვალი მთლად არ შემოეფლითებათ. დასკად პყრობილთა წარჩინებულობასა და მოთქმა-გოდებას ყურად ნუ იღებენ.

. . . . . .

**P.S.** პეტრე პირველის ეს ორას ორმოცდათექვსმეტი წლის წინანდელი ბრძანებულება ყურადღებას აქცევს თავისი თანადროულობითა და აჭტუალობით. „ნიანგი“ ფიქრობს, რომ ურიგო არ იქნებოდა, მსგავსი ბრძანებულება თანამედროვე კოხტაპრუწებზედაც დაწერილიყო.

# ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვიდრე ერთხელ ომარ-ხალიან-ზემელელის შესახებ

ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენ ვამოვაქვეყნეთ მსოფლიოში სახელგანთქმული პოეტის, ჯან-საღოლ-ომარ-ხალიან-ზემელელის ათი, ადრე უცნობი რუბაიი და მოკლე მონოგრაფია, სადაც შეეხო მისი ბიოგრაფიის ზოგიერთ ბუნდოვან უბანს. ჩვენს მიერ, ომარ-ხალიანის ამყამად აღმოჩენილ რუბაიებში არის. უამრავი მომეტება, რომლებიც ერთის მხრივ ამბათლენენ, როგორც ჩვენს, ისე მსოფლიოს ბევრ გამოჩენილ მკვლევართა ზოგიერთ მოსაზრებას, ხოლო, მეორეს მხრივ, აძტიციენენ და ნათელს ჰფენენ ადრე გამოქმეულ დებულებებსა და ანიმოეზებს. მაგალითად, ადრე ფიქრობდნენ, რომ ჯან-საღოლ-ომარ-ხალიან-ზემელელი XI საუკუნის დასასრულსა და XII საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. ეს მოსაზრება საბოლოოდ გაბათილებულად უნდა ჩითვალოს, რადგან ომარ-ხალიანის ახლახან აღმოჩენილ რუბაიებში ეგზეგზეთი ფრთოვან გამოთქმებს: **„ალიმენტი“, „წეწკვი“, „მილიცია“, „პროფესორი“, „ინტურისტი“, „ურნა“, „ინფარქტი“** და სხვა. ზემოთ აღნიშნული გვიფიქრებინებს, რომ ომარ-ხალიანი თანამედროვე თბილისის მკვიდური უნდა ყოფილიყო, რადგან ეს ტერმინები მეთორმეტე საუკუნეში არამც და არამც არ იხმარებოდა.

ასევე უარსაყოფი მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს ომარ-ხალიანი უპატრონო იყო. ერთ-ერთ თავის რუბაიაში იგი პათეტიკურად აცხადებს **„ერთ წელიწადში გამომაგდებს მამა ციხიდანო“**, — ესე იგი, მამამისი ან ძალიან ფულიანი და შეძლებული კაცი იყო, ან რაღაც საგულისხმო თანამდებობა ეკავა. უფრო მეტიც, უპატრონო კი არა, იგი უამრავი ცოლ-შვილით დაყურსული და ალიმენტების გადაუხდელობისათვის დევნილიც ყოფილა. **„კაცი, დევნილი ყველასაგან, დაკვეხტები, გარს მეხვევიან — მოგვეცით ალიმენტები...“** — ჩიგის ერთგან ყველასაგან გამეტებული პოეტი.

არც მზრუნველ ნათესაობას ყოფილა მოკლებული ომარ-ხალიანი, **„ჯიგრიან გულზე ბიძაჩემმა „ვოლგა“ მიყიდაო“**. — წერს იგი.

საერთოდ, როგორც ირკვევა, ახლახან აღმოჩენილი ათი რუბაიადან, ჯან-საღოლ-ომარ-ხალიან-ზემელელი დაბადებული საქართველოში (თბილისში?). შეძლებული ან თანამდებობის პირის ოჯახში. მიუღია საკმაო განათლება, რადგან სიტყვებთან: **„ჯიგარი“, „მილიცია“,** და სხვა, ხშირად ხმარობს სიტყვებს: **„პროფესორი“, „წიგნი“, „ავარა“** და ასე შემდეგ.

საუბედუროდ რუბაიებიდან არ ირკვევა, ბოლოს და ბოლოს, მიიღო თუ არა მან სხვა რაიმე განათლება, გარდა ქურდობისა, ეიბგრობისა, ლოთობისა, ყომარბაზობისა და ტოლვმბაბობისა. სამაგიეროდ ირკვევა, რომ პოეტს არაერთგზის ჰყოლია ცოლ-შვილი. შესანიშნავად ხმარობდა ეეცცნ�-ცნრეოლულ და ეიგ იარაღს, ჰყოლია „ეოლგა“, ეტრფოდა ღვინოს, ეტტერებოდა ურნებს და ვერ ეტანდა მილიციას. ამტომ განეეფრებას იწვევდა მის მიერ ანდერძად თქმული ერთი რუბაიის ბოლო ორი ტაეპი, სადაც იგი მეგობრებს ასე მიმართავს: **„რაცა მოგვდები, არ დამიწყოთ იტალიური, „ინტურისტიდან“ დიდი ურნით გამომასვენეთო“.**

დასასრულ, რომ შთამომავლობას არ დარჩა მგონსის სურათი, და ამ მონოგრაფიასთან ერთად ვერ ვაქვეყნებთ პოეტის შთაგონებულ სახეს. მაგრამ ვიმედოვნებთ, უახლოეს ხანში სურათსაც აღმოვაჩენთ. ადვილი შესაძლებელია ეს მისი ერთ-ერთი უკანასკნელი რუბაიაც იყოს. ეიელეთ-თქმელი პოეტი ცრემლნარევი ხმით ემშვიდობება მეგობრებს, **„დღეს მასაზღვებენ თბილისიდან, როგორც ავარიის და ვეღარასდროს ვეღარ ნახავთ ომარ-ხალიანს!“.**

უნდა ვეგულისხმოთ, რომ თბილისის მილიციის არქივში უკვე ალბათ იქნება მისი სურათი, რადგან ცნობილია, იმ დროს თბილისიდან ყველა გასახლებულს ეღებდნენ სურათს, როგორც პროფილში, ისე ანფასში. ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, სულ მალე გავიხაროთ ჩვენი დროის ამ შესანიშნავი პოეტისა და მოკვალაქის ბეღით დაინტერესებულ მკითხველი.

**165** ჩემზე ამბობენ: ბარალი დაიკვნო თანა,
ანაშას წვეთო, ხულეგნოსნო, — ცუდია განა?
კაცი რომ ასეთ წერილმანებზე შეედევვება,
მოდი, ღმერთო, და ნუ გაუფარ ჯიგარში დანას.

**222** დარიან გულზე ბიძაჩემმა „ვოლგა“ მიყიდა.
დამისხით ღვინო, სადღეგრძელოს ვიტყვი რიჩითა.
კვეგიან ვინმეს? — ყურზე ხახეი არ დამთალოთ,
ერთ წელიწადში გამომაგდებს მამა ციხიდან.

**1010** ხუთი წელია წიგნი თვალით არ მინახია.
ახია მასზე. წიგნი დროზე ვინც არ დახია,
გუშინ ვიყავი კუკალზე საყოფარბაზოდ,
იქ ქურდი ყოლა პროფესორის ვეერდით მარხია.

**1711** ტ-ფობის ისარით მერამდენედ დაეკარ ალვარ
გულში,
მწვავდნენ თვალები, სადარები მაყვლის და ნუშის
დღეს მეთერმეტე წიწკვი უნდა დავაბა სადმე,
რადგან გუშინწინ მოყვანილი გავუშვი გუშინ.

**913** კაცი, დევნილი ყველასაგან, დაკეხეტები,
გარს მეხვევიან, — მოგვეცოო ალიმენტები,
მე რომ არაფერს არ ვიმეტებ ცოლ-შვილისათვის,
მითხარი, ღმერთო, ეგ ოხრები რად მიმეტებენ?

**1313** ჰე, პროფესორო. რად გსურს ჩემი დასამარება,
ეგ ორიანი არ დაგირჩეს დასახნენელად.
ხომ არ გგონია, დღეს რომ მოკვდე
მიერეონფარქტით,
თან წამოგყვება გამოცდების ჩასახარებლად!

**1111** ჩემი ცხოვრების და სიცოცხლის რა ვთქვი მომგონი,
ოხრად მრჩებიან ბაგეები საამბორონი,
ღმერთო. სხვები რომ შავი „ვოლგით“
დასრიალებენ,
მე რად დამთრეს მილიცია „ჩორნი ვორონეთ!“..

**3113** ცრემლი მდუღარე არ ცოლდება ჩემთა წამწამთა,
ვეღარც ვქეიფობ, ვეღარც ვქურდობ, ეეამი გაწამდა.
მე რომ შემქმენი და სიცოცხლე მაჩუქე, ღმერთო,
ამ მილიციას რომ ჩიენდი, ღმერთი არ გწამდა?

**1158** ვარ ტოლუმბაში, ღვინოს ვსვამ და ღვინო
მახვილებს,
ვიდრე ურნები ფეხზე დგანან, რა მომახვენებს,
როცა მოგვდები, არ დამიწყოთ იტალიური,
„ინტურისტიდან“ დიდი ურნით გამომასვენეთ.

**1617** მშვიდობით, ძმებო. აღსახარული ყველას ვალია.
ვაგლახ, გაეჭირდა დუნიაზე ყოფნა ძალიან,
დღეს მასახლებენ თბილისიდან, როგორც ავარას.
და ვეღარასდროს ვეღარ ნახავთ ომარ-ხალიანს.

**ჯვეგე ლუმბაკა**

ნახ. ი. ქოკაბაშვილისა

— ვის უბედავ, შენისთანა ათასი გა-
ბიზრდია!..



— ალბდიათვის.

## უკასუხეა

მაინც რა ცივი და მოუკარებელი იყავი ეოველთვის. ვერაფეროს ვერ გამონახე ჩემთვის ცოტა დრო. სულ სადღაც დადიხარ, რაღაცას სეკმაანობ, ხელში ქალალდები გიჭირავს და მიდიხარ, მიდიხარ. ამ რამოდენიმე დღის წინ, ჩემი ინსტიტუტის წინ დაგინახე, გამიკვირდა. აქ რა უნდა-მეთქი, მოსულა მინდოდა, მაგრამ, მომერიდა, აკი თვალითაც მანიშნე, არ მოსულიეო.

იმ დღეს ხოსომ მითხრა, აუცილებლად უნდა ვნახო, წიგნი უნდა გამოვართვინო. ვითომ მართლა წიგნი უნდოდა?

ეჰ, ერთხელ მაინც რომ მოგეცალა ჩემთვის ენახეოდა— მაინც რა უკრეთ და უნამუსო ეოფილხარ? შენზე იდრე რომ მეფშოდა, ისიც არ იყო ნაკლებად ეეალნებული კოშენდაში, მაგრამ, ერთხელ რომ ეტეოდი: ამოდი სახლშიო, აუცილებლად ამოვიდოდა... ერთი დღეი ღვინის დასალევად.

**მ. ბერაძე**

— მე შენ გასაკვირი, როგორ უნდა დეგიოფის ატანდა!
— ეგ ვიცი, უფროსო, შენ ის გასაკვირი, აკედან როგორ
გავაკვრე.

# ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიკოლოზ ბარათაშვილი

## ცნობათა ბიურო

თბილისში, კოლმეურნეობის მოედანზე, კოლმეურნეთა და სხვათა კეთილმომსახურების მიზნით, ცნობათა ბიურო არსებობდა; შეეყოფდი პატარა სარკმელში თავს და პასუხიც მზად იყო.

— თელავის ქუჩა მდებარეობს თელავის მიმართულებით, ავლაბარში. სხვას შეეკითხებოდით და არც ამაზე გეტყოდნენ უარს.

ასე ტკბილ ღუღუნში გადიოდა დრო-ჟამი, მაგრამ, ერთ დათარსულ დღეს, ცნობათა ბიუროს უანგარო მოღვაწე სადღაც გაჰქრა და მის მაგიდაზე სხვადასხვა ინსტრუმენტებმა დაიწყეს ხმაური და მესაათემ ცნობისმოყვარის შეკითხვაზე თამამად უპასუხა:

— ცხრას აკლია თხუთმეტი წუთი.

კარგა ხნით ვერავინ გაიგო ცნობათა ბიუროს უბედურების მიზეზი, მაგრამ მალე გამომზეურდა მოსახ
ლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართვ
ლოს 1965 წ. 28 მაისის განკარგულება № 36, რომ
ლიც საზოგადოებას ამცნობდა ცნობათა ბიუროს მუ
შაკის შტატის გაუქმებას და მის ადგილზე მესაათი
დანიშვნას, რომელსაც დაევალა ნახევარშტატით მო
სახლეობის მომსახურება ცნობების გაცემაზე. ზის ახლ
მესაათე ჯიხურში და, ერთი თვალით რომ საათის მ
ქანიზმს ჩასცქერია, მეორეთი ცნობარებში უგზო-უკვ
ლოდ დაკარგულ ქუჩებს ეძებს.

ნიანგს ერთი ცნობის აღება დასჭირდება ამ ცნ
ბათა ბიუროდან: ხომ არ შეიძლება მესაათეს, ამ
ვე ცნობათა ბიუროს მუშაკს, პარიკმახერის, მეწალ
და ელექტრიკოსის შტატიც შევუთავსოთ?

## მანქანის მფლობელთა საყურადღებოდ!

მოქალაქენო! პირველი მაისის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზართან უკვე დიდი ხანია ოფიციალურად გაიხსნა მანქანის ნაწილების სავაჭრო პუნქტი.

აქ შეგიძლიათ შეიძინოთ მანქანის დეფიციტური ნაწილები. თქვენ მოგემსახურებიან საქმის კვალიფიციური სპეციალისტები: ედიკა, პატარა ლოვა, არტუშა და სხვები.

საქონლის რეალიზაცია ხდება საქართველოს ყველა რაიონსა და ქალაქებში ადგილზე მიტანით, ამისათვის საჭიროა მანქანის მფლობელის ზუსტი მისამართი.

რათა მანქანის მფლობელს გაუადვილდეს ხსენებული სავაჭრო პუნქტის მუშაკების ცნობა და მიგნება, ვაქვეყნებთ ფოტოსურათს. სურათზე თქვენ ხედავთ ედიკას ვაჭრობის მომენტში. როგორც ჩანს, ედიკა მანქანის რომელიღაც ნაწილში პრინციპულად მოითხოვს ხუთ მანეთს.

მართალია მანქანის ნაწილები ორმაგ და სამმაგ ფასში იყიდება, სამაგიეროდ, შეგიძლიათ სწორედ ის ნაწილები შეიძინოთ, რომლის ჭაჭანებაც არ არის მაღაზიებში.

მოქალაქენო! ისარგებლეთ პირველი მაისის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზართან არსებული მანქანის ნაწილების სავაჭრო პუნქტით.

## ქრონიკები

ამა წლის 22 ივნისს მიწათმოქმედების უმცროსმა მეცნიერმა მუშაკმა ვლადიმერ ჭანტურიამ და აჯამეთის მემინდვრეობის მეურნეობის საცდელი სადგურის ლაბორატორიის გამგემ გიორგი მეგრელმა გამართეს ვახშამი. ვახშამმა გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

ნავახშმევს კინოთეატრ „რუსთაველს“ ეწვივნენ და სხვისი სკამები დაიკავეს, მალე ადგილებს გამოუჩნდნენ კანონიერი მფლობელები. შეზარხოშებულმა ჭანტურიამ და მეგრელმა პროტესტი განაცხადეს სკამების დათმობაზე. ბოლოს, სკამეში მილიციის მუშაკები ჩაერიენ და ადგილები „მოუნახეს“ გზააბნეულებს.

* * *

პენსიონერმა სერგო მანუკიანმა უფასო კვებაზე გადასვლა გადწყვიტა. ამ მიზნით იგი რესტორან „ინტურისტს“ ეწვია, საფუძვლიანად დანაყრდა და გასასვლელისაკენ გასწია. როდესაც ოფიციანტმა შვიდი მანეთის დანახარჯი წარუდგინა, სერგომ პასუხად თავისი გადაწყვეტილება გააცნო. ოფიციანტმა მანუკიანის წინადადება უარყო და კატეგორიულად მოითხოვა დანახარჯი. სერგო მანუკიანი იძულებული გახდა აეტეხა ჩხუბი და აყალმაყალი.

როგორც უკანასკნელი ცნობებიდან ირკვევა, სერგო მანუკიანმა შეცვალა პირვანდელი გადწყვეტილება და გადავიდა ფასიან კვებაზე.

* * *

გარნიკ გარეგინის-ძე კაზარიანმა და ივანე ნიკოლოზის-ძე გვარამაძემ ოთხიოდე ბოთლი ღვინო დამხმარე მეურნეობის ეზოში გადაიტანეს და ერთმანეთის ქებითა და კოცნით ბოლომდე ამოწრუპეს. ღვინის დალევის შემდეგ მკლავში ძალა იგრძნეს და საგძირო საქმეთა საჩვენებლად მეურნეობის ეზოში მწვანე ბალახის ჭამით გართულ ცხენს ფაფარში ჩააფრინდნენ და აჭენეს და აჭენეს... დიდხანს არწმუნა მეურნეობის მუშამ ომარ ალექსის-ძე შიაბრიშვილმა, რომ მეურნეობის ცხენი არც ტარიელის მერანის შთამომავალია და არც კიდევ არსენა ოძელაშვილის ლურჯასიო, მაგრამ ვინ დაუჯერა. კამათსა და სიტყვიერ შეხლა-შემოხლას მალე მუშტებისა და ქუდების რახარუხიც მოჰყვა.

* * *

ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ძუკაევმა ამა წლის ივნისში მაღაზიაში ღვინით გამხიარულება მოიწადინა. გამყიდველი ანზორ ავსაჯანიშვილი დიდხანს ეხვეწა, მაღაზიაში დალევა არ შეიძლება, წაიღე სახლში და ჩემი სადღეგრძელოც იქ დალიეო, მაგრამ შეჯდა ვირზე ძუკაევი და აღარ ჩამოვიდა, უარით „უეურაცხყოფილმა“ ჩხუბი დაიწყო, მაგრამ მისი გაშლა — გაფართოება აღარ დასცალდა. რამდენიმე დღის შემდეგ დანით შეიარაღებულმა ძუკაევმა მაღაზიაში შეიარაღებული ძმა მიიყვანა და ანზორ ავსაჯანიშვილი მძიმედ დაჭრა. ახლა სად არის?! იქ, სადაც ყველა მისთანების ადგილია.

* * *

მამაზეციერმა დაიფაროს ავი თვალისაგან პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი შოთა გრიგოლის-ძე ფირცხალაიშვილი და ამავე ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი ანზორ რაჟდენის-ძე ზარქუა. მეგობრებმა 25 ივნისს პუშკინის ქუჩაზე, სასადილო № 23-ში გადაბეს ლხინი, „ღვინოვ კახუროც“ ბევრჯერ იმღერეს და „დამისხი, დამალევინეც“. იქიდან გამოსულებმა სასადილოს ეზოში ჯუმბერ ბუკია დაიჭირეს, ფული მოთხოვეს და, რაკი ვერ მიიღეს, ცემა დაუწყეს. ბუკიას მისი მეგობარი ნ. გვახარია გამოესარჩლა. ახლა იმას მივარდნენ რაინდები და შოთა ფირცხალაიშვილმა დანის მარჯვე მოქნევით ყურის ბიბილო წაათალა დამარცხებულ გვახარიას. შემდეგ ისეთ ადგილზე მიიმალა, რაც მის „გმირობას“ სრულიადაც არ ეკადრებოდა. ახლა მეგობრები „ღვინოვ კახუროს“ კი არა, „სულო ბოროტოს“ მღერიან და ვარსკვლავებს ეთამაშებიან.

* * *

კაცი თავის გულისსწორთან ორ ბოთლ ღვინოს თუ დალევს, აბა რა დასაძრახია!? ან ვინ დაძრახავდა ავთანდილ დიასამიძეს სირანუშ ტერმოსესოვასთან სახლში ნებივრობისას, ნოდარ მუჩილაშვილი რომ არ წასწრებოდა. ძველი ნაცნობები ეჭვმა გააბოროტა და ატყდა ჩხუბი. ბრძოლის ველმა სირანუშას სახლიდან გორგასალის ქუჩაზე გადაინაცვლა და მიჯნურთა სხეულზე დარჩა ხუთიოდე ჩალურჯებული, ექვსიოდე ჩაშავებული და ათიოდე დალილავებული ნიშანი. სირანუშას ოთახში დამტვრეული ნივთები ჩაითვალოს გაუქმებულად.

# ხათრიანი ეფრემი

ერთხელ ეფრემ მიხელაშვილს მახვილი აზრი დაებადა თავში.

როდემდის უნდა ვტკეპნო კულაშის ქუჩები უსაქმოდ. თანაც მეუბნებიან, რამე საქმეს მოკიდე ხელიო.

დატრიალდა ეფრემი და ბათუმის ფოსტის მუშაკებთან: კონსტანტინე სიმოდთან და სევერიანე მეფარიშვილთან ამოჰყო თავი.

— აბა, ჩემო კოწია და სევერიანე, ამაზე ამბობენ, ძმა-ძმისთვინა და შავ დღისთვინაო, ხელი ხელს ბანს, ორივე კი პირსაო, ამომიდექით გვერდში ამ საქმეში, მე ამანათებს გამოვგზავნი მოსკოვიდან სხვადასხვა სამრეწველო საქონლით, სხვადასხვა გვარზე. რა თქმა უნდა, ყველას მე მივიღებ. სამაგიეროდ, ჩემო ბიძიებო, თითო ამანათზე 4 მანეთს მიიღებთ.

— რაო, რაო? — ხმა აიმაღლეს ბიძიებმა.

— კარგი, ჰო, ამანათზე 5-6 მანეთს მიიღებთ. გაწყობთ?

— გვაწყობს. — შეთანხმება მოხდა. ამის შემდეგ ეფრემმა დაჰკრა ფეხი და მოსკოვში ამოჰყო თავი. აგზავნიდა და აგზავნიდა მოსკოვიდან ამანათებით სამრეწველო საქონელს მახინჯაურის, ქობულეთის, ნატანების, სამტრედიის საფოსტო განყოფილებებში სხვადასხვა გვარზე. გამოჰქონდა კ. სიმოდისა და ს. მეფარიშვილის ხელშეწყობით და ასაღებდა.

ერთხელ, როდესაც ეფრემმა, ჩვეულებისამებრ, მიაკითხა 10 ამანათს და, ის იყო, სახლში მიიტანა, მილიციის მუშაკები ეწვივნენ.

— ამხანაგო უფროსებო, — არ დაიბნა ეფრემი, — ამ ამანათებში რაც არის, ყველაფერი ჩემი ოჯახის წევრებისათვის ჩამოვიტანე.

— აბა გახსენი, ვნახოთ რა ჩამოიტანე. — არ მოეშვნენ მილიციის მუშაკები და ეფრემს ამანათები გაახსნევინეს...

— ოჯახისათვის რომ ზრუნავ, გეტყობა. ოთხი სულისათვის 196 წყვილი იმპორტული ქალისა და ბავშვის ფეხსაცმელი ჩამოგიტანია.

— რაჯ იზამ, ოჯახი ხრამია. — შეიშნო ეფრემმა.

— ეს 15 იტალიური ლაბადა, 12 წყვილი უცხოური საწოლის გადასაფარებელი და სხვა ნივთებიც ოჯახისაა?

— ნაწილი აქედან ჩემი მეზობლისაა, სახელი და გვარი არ მახსოვს, დამბარა და ჩამოვუტანე. ხათრიანი კაცი ვარ და უარი ვერ ვუთხარი.

ხათრიან ეფრემს არ დაუჯერეს, რომ საქონელი, რომლის ღირებულება 4.303 მანეთს შეადგენდა, მეზობლის ხათრით იყო ჩამოტანილი მოსკოვიდან.

—ძალიან გვეხათრება, ეფრემ, შენი, მაგრამ, რას იზამ!

**შ. რობაქიძე**

**საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე.**

**ზ. მესენგისერი**

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი.

ნახ. ჯ. ლოლუასი



ვახტანგური.

საბჭოთა ენციკლ. 527 29/VI

# „ზის-150“

**და „ზაპოროჟეცი“**

**(„რწყილი და ჭიანჭველას“ მიბაძვით)**

„ზის-150“ და „ზაპოროჟეცი“ დაიმობილდნენ. გაუდგნენ გზას. ბევრი იარეს თუ ცოტა, ქ. ხაშურში ტელმანის ქუჩაზე ერთ ტბას მიადგნენ. „ზის-150“-მა უთხრა „ზაპოროჟეცს“ — მე კი გავალ. მაგრამ შენ რა გეშველებაო. მეც გავალო, — დაამშვიდა ძმობილი „ზაპოროჟეცმა“.

„ზის-150“ გაექანა და „ტბის“ გაღმა აღმოჩნდა. „ზაპოროჟეციც“ გაექანა, მაგრამ „ტბის“ შუაგულში გაეჩხირა საცოდავად. „ზის-150“-მა უთხრა „ზაპოროჟეცს“ — წავალ, ჯაჭვს მოვიტან და ამოგიყვანო.

„ზის-150“-მა ახლომახლო მცხოვრებლებთან მიირბინა. კაცო, ეს ტბა აქ საიდან გაჩნდა, სამარშრუტო რუკაზე აღნიშნული რომ არ არისო? — იკითხა.

— მოძველებულია თქვენი რუკაო, — უთხრეს, — უკვე ოთხი წელია, რაც ეს ტბა არსებობსო.

— ხალხნო, — თქვა „ზის-150“-მა, — მომეცით ჯაჭვი, ჩავუბამ და ამოვიყვან ჩემს ძმობილ „ზაპოროჟეცსაო“.

— შენ რომ ჩვენთვის „ხალტურა“ არ მოგიტანია, წადი და ქალაქის საბჭომ მოგცესო.

გაექანა „ზის-150“ და მივიდა ქალაქის საბჭოში:

— საბჭოვ, მომეც ჯაჭვი, ჩავუბამ და ამოვიყვან ჩემს ძმობილ „ზაპოროჟეცსაო“.

ქალაქის საბჭოში კარგად იცოდნენ „რწყილი და ჭიანჭველა“, იფიქრეს, ამანაც რწყილივით ქვეყანა არ შეჰყაროსო და სწრაფად მისცეს ჯაჭვი.

„ზის-150“-მა ჩაუბა ჯაჭვი და ამოიყვანა ძმობილი.

**ეპილოგი**

ქალაქის საბჭოში დიდხანს ისხდნენ და ფიქრობდნენ ვეღარ იკავებდნენ საკუთარი გულისკენ ოთილობით გულაჩუყებული თანამშრომლები, ასე უცებ რომ დაეხმარნენ ჯაჭვებაში მყოფთ: გვიმრავლოს ასეთი საქმეები, ეს ერთი და სხვა ბოროტალიო.

**თეიმურაზი**

ნახ. დ. ერისთავისა



— კაცო, მანქანამ რომ დაგარტყა. ნომერი ვერ დაიმახსოვრე?

— ვერა, მაგრამ ტანი მიგრძნობს, მალე გავიხსენებ.


რედაქტორი ნ. დუმბაძე

სარედაქციო კოლეგია: ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე, მ. ქარჩავა, ნ. შველიძე, ო. ჭელიძე.

საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. „სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.

**რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-78**

ხელმოწ. დასაბ. 15/VII-1965 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კპ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 2370. უე 03353 ტირაჟი 40000

„კარტი“, რომელსაც ვერაფერი ვერ ჭრის.